

არქ ექსპერტიზის ცენტრი
ARCH EXPERTISE CENTER

ექსპერტიზის

ანგარიში № AEC-III-IR-C12-K2-21

ქ. თბილისში, ე. ონიანის ქ. N10, ს/კ 01.13.01.020.223, ამბულატორია „ლაბორატორია მრჩეველი“-ს არქიტექტურული ნაწილების „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებასთან შესაბამისობის შესახებ

დაწყების თარიღი: 2021 წლის 10 აგვისტო

დასრულების თარიღი: 2021 წლის 13 აგვისტო

„ვამტკიცებ“
შპს „არქ ექსპერტიზის ცენტრი“-ს
დირექტორი

ჯარჯი ჯოხაძე

13 აგვისტო 2021 წელი

ექსპერტიზის

ანგარიში № AEC-III-IR-C12-K2-21

ქ. თბილისში, ე. ონიანის ქ. N10, ს/კ 01.13.01.020.223, ამბულატორია „ლაბორატორია მრჩეველი“-ს არქიტექტურული ნაწილების „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებასთან შესაბამისობის შესახებ

შემადგენლობა:

1. ექსპერტიზის სახეობა
2. შპს „არქ ექსპერტიზის ცენტრი“ ექსპერტიზის ორგანო
3. ინფორმაციული ზოგადი ნაწილი
4. დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია
5. პროექტის აღწერილობა, დაგეგმარების საფუძველი და მიზნები
6. დაგეგმარებისათვის გამოყენებული კანონმდებლობა
7. ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია, რის მიხედვითაც ჩატარდა ინსპექტირება
8. კვლევითი ნაწილი
9. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება
10. კონსტრუქციის ტიპების შეფასება
11. სიმაღლისა და ფართობის შეფასება
12. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება-
13. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელის საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებამისაწვდომობის შეფასება
14. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება
15. სახურავის ანაწყობების შეფასება
16. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება
17. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება
18. წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება
19. განსაკუთრებული პირობები (დამატებითი)
20. ექსპერტიზის დასკვნა

ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები - ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის ან მისი ცალკეული ნაწილის ინსპექტირება, დოკუმენტის №AEC-IMP-II/01-17-ის შესაბამისად.

2. შპს „არქ ექსპერტიზის ცენტრი“ ინსპექტირების ორგანო

სამართლებლივად ნაკისრი ვალდებულებებით პასუხისმგებელია ინსპექტირების მიუკერძოებლობაზე, კვლევის ჯეროვან ჩატარებასა და ექსპერტიზის პროცესში მიღებული წებისმიერი შედეგის კონფიდენციალობაზე.

საექსპერტო შეფასების შემსრულებელთა ჯგუფს ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელობისგან განემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც ასახულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე, 52-ე მუხლებში. ამასთან, გაფრთხილებულნი არიან, რომ ცრუ ჩვენების ან/და ყალბი დასკვნის მომზადების შემთხვევაში დაეკისრებათ პასუხისმგებლობა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით.

3. ინფორმაციული ზოგადი ნაწილი

ინსპექტირების (ექსპერტიზის) სახეობა	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის ან მისი ცალკეული ნაწილის ექსპერტიზა.
ინსპექტირების ობიექტის იდენტიფიცირება	ქ. თბილისში, ე. ონიანის ქ. N10, ს/კ 01.13.01.020.223, ამბულატორია „ლაბორატორია მრჩეველი“
ინსპექტირების ჩატარების თარიღი	10.08.21 — 13.08.21
ანგარიშის ადრესატი	შპს. „ლაბორატორია მრჩეველი“ (ს/კ 205256248)
ინსპექტირების ჩატარების საფუძველი	ხელშეკრულება № AEC-III-C-C12-20-ის დანართი (10.08.2021წ.)
სამუშაოს სახეობა	ქ. თბილისში, ე. ონიანის ქ. N10, ს/კ 01.13.01.020.223, ამბულატორია „ლაბორატორია მრჩეველი“-ს არქიტექტურული პროექტის ნაწილების, „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებასთან შესაბამისობის საექსპერტო შეფასება;
მომხმარებლის იდენტიფიკაცია	შპს. „ლაბორატორია მრჩეველი“ ს/კ 205256248 ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის ქ. N9
ინფორმაცია ინსპექტირების ჩატარების ადგილის შესახებ	ქ. თბილისი, მ. გელოვანის ქ. N24
ექსპერტიზის შემსრულებლები	ექსპერტი არქიტექტორი: ნინო მენთეშაშვილი
ნაკლოვანების ან ხარვეზის შემთხვევაში, ვადა, თუ როდის არის შესაძლებელი განმეორებითი ინსპექტირება	ვადა განისაზღვროს ახალი ხელშეკრულებით, განახლებული დოკუმენტაციის მოწოდების შემთხვევაში.

"ARCH EXPERTISE CENTER" LTD 402050052

4. დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია

დამკვეთის, შპს. „ლაბორატორია მრჩეველი“-ს (ს/კ 205256248) მიერ მოწოდებული პროექტის არქიტექტურული ნაწილების საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკურ რეგლამენტი – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“ შესაბამისობის დადგენის მიზნით, წარმოდგენილი იქნა, „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებაში, ქ. თბილისში, ე. ონიანის ქ. N10, ს/კ 01.13.01.020.223, ამბულატორია „ლაბორატორია მრჩეველი“-ს საპროექტო დოკუმენტაციის არქიტექტურული ნაწილი:

საპროექტო დოკუმენტაციის არქიტექტურული ნაწილის ელექტრონული ვერსია pdf ფაილის სახით ერთი ეგზემპლიარი.

5. პროექტის აღწერილობა, დაგეგმარების საფუძველი და მიზნები:

დაგეგმარების საფუძველი და მიზნები:

წარმოდგენილი, ამბულატორია "ლაბორატორია მრჩეველი"-ს პროექტი დაგეგმარებულია თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, 2020 წლის 28.02.2020
N 4879500 ბრძანების საფუძველზე გაცემული, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მოთხოვნების გათვალისწინებით.

მიწის ნაკვეთის მდებარეობა, აღწერა:

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში ე. ონიანის ქუჩაN 10 - ში
შედგება ერთი საკადასტრო ერთეულისგან - ს/კ №01.13.01.020.223; ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო;
ფართობი: 2 138,00 კვ.მ; მესაკუთრე: შპს"ლაბორატორია მრჩეველი"

მიწის ნაკვეთს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ე. ონიანის ქუჩა ხოლო აღმოსავლეთიდან ლუბლიანას ქუჩა და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი. სამხრეთიდან და დასავლეთიდანაც კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებია. საპროექტო ტერიტორის კუთხე აგრეთვე ემიჯნება გიული ჭოხონელიძის ჩიხს. ტერიტორია ძირითადათ სწორი ზედაპირით ხასიათდება.

აბსოლტური ნიშნული ზღვის დონიდან მერყეობს 426.72 დან 425.03 -- მდე.
ზონირების მიხედვით ტერიტორია მდებარეობს საცხოვრებელი ზონა 3 - ში

პროექტის შინაარსობრივი აღწერა:

ამბულატორიის საპროექტო შენობა შედგება 3 მიწისზედა და ერთი მიწის დონის ქვედა სართულისაგან.

სარდაფში ძირითადად დაგეგმარებულია სასაწყობო სივრცეები, გასახდელები და სხვა დამხმარე - ტექნიკური დანიშნულების ოთახები (ტუმბოები, წყლის რეზერვუარები და სხვა).

პირველ სართულზე ძირითადად დაგეგმარებულია მისაღები, სისხლის ასაღები ოთახები და ლაბორატორიის ნაწილი.

მეორე სართულზე ძირითადად დაგეგმარებულია სამედიცინო-სამუშაო კაბინეტები და ლაბორატორიის ნაწილი.

მესამე სართულზე დაგეგმარებულია - საკოფერციო დარბაზი, სამზარეულო-სასადილო სივრცე და დირექციისთვის კაბინეტები.

სახურავზე (+11,85 ნიშნულზე) დამონტაჟებულია ვენტილაცია-კონდეცირების და სხვა ტექნიკური აგრეგატები. აქვე განთავსებულია ტექნიკური ოთახი(საბოილერო).

ექსპერტიზის ცენტრი
402050052
EXPERTISE CENTER LTD

პროექტის ძირითადი სტრუქტურული სისტემის აღწერა:
შენობის სტრუქტურა წარმოადგენს გაძლიერებული რკინა-ბეტონის საძირკვლებზე დაფუძნებულ, რკინა-ბეტონის სტრუქტურულ ჩარჩოს, რომელიც შედგება სვეტებისა და კოჭებისაგან. შენობის პირველ და მეორე სართულებზე გამოყენებულია ურიგელო სისტემა. მიწისზედა კედლები წარმოადგენს პემზა-ბლოკის წყობას, სახურავი მოწყობილია ბრტყელი გადახურვით.

საპროექტო შენობაში უნდა მოეწყოს:

1. შენობა აღიჭურვება NFPA13-ის ან საქართველოში არსებული შესაბამისი სტანდარტის მიხედვით დამონტაჟებული ავტოსაშხეფი სისტემით;
2. სახანძრო მილდგარები განთავსდება NFPA14-ის ან საქართველოში აღიარებული სხვა სტანდარტების შესაბამისად;
3. შენობა აღიჭურვება საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემით, რომელიც დაგეგმარდება და დამონტაჟდება NFPA 72-ის ან საქართველოში აღიარებული სხვა სტანდარტის შესაბამისად;
4. შენობა აღიჭურვება კვამლაღმომჩენი სისტემით;
5. შენობა აღიჭურვება ცეცხლის ავტომატური აღმომჩენებით
6. არხის კვამლაღმომჩენები განთავსდება კონდიცირების თითოეული სისტემის და ჰაერგამწოვ მთავარ არხებში, ასევე ყველა ასეთი სისტემის მისაერთებელთან;
7. ელექტრომომარაგება და განათება განიავებისა და ცეცხლის ავტომატური აღმომჩენი მოწყობილებები, ლიფტები, გასასვლელი ნიშნები, გასასვლელი საშუალების განათება, ლიფტის კაბინის განათება, საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემები, ცეცხლის ავტომატურად აღმომჩენი სისტემები, სახანძრო განგაშის სისტემები, ელექტროენერგიაზე მომუშავე სახანძრო ტუმბოები (საქაჩები), უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი სათადარიგო ელექტრომომარაგების სისტემებით - დიზელგენერატორის საშუალებით(განთავსებული იქნება ეზოში).

6. დაგეგმარებისათვის გამოყენებული კანონმდებლობა:

- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის №41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“;
- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის N732 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს შესახებ ამოქმედდა 2021 წლის 1 მარტიდან;
- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის N64 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 დეკემბრის N737 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

7. ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია, რის მიხედვითაც ჩატარდა ინსპექტირება

ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები - ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის ან მისი ცალკეული ნაწილის ექსპერტიზა.

ექსპერტიზის შერულების პროცესში გამოყენებული იქნა:

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ";

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის №41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები";

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის N732 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები"-ს შესახებ ამოქმედდა 2021 წლის 1 მარტიდან;

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის N64 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 დეკემბრის N737 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

8. კვლევითი ნაწილი

ექსპერტის მიერ არქიტექტურული პროექტის ნაწილების შესაბამისობა შეფასდა „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილებით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

9. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება

პროექტი ითვალისწინებს საპროექტო შენობაში განსათავსებელი თითოეული ტიპის დაკავებულობისთვის შენობა-ნაგებობებისთვის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრულ ყველა დეტალურ მოთხოვნას, დაკავებულობები არის კლასიფიცირებული მე-3 თავის მიხედვით და შეესაბამება წესების 302-ე ქვეთავს.
პროექტში გამოყენებულია დამხმარე და სხვა დანიშნულების (დს), სასაწყობო (სწ-1, სწ-2), საქმიანი (სქ), თავშეყრის (თვ-2, თვ-3) ჯგუფის დაკავებულობები, კერძოდ:

1. სასაწყობო ჯგუფი სწ-2 დაკავებულობა - საკვები პროდუქტების საწყობი +8.05 ნიშნულზე; წესების 311.3 ქვეთავის მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს შენობებს, სადაც არაწვადი მასალები ინახება და მიეკუთვნება მცირე საფრთხის შემცველ სასაწყობო ჯგუფს.
სწ-2 დაკავებულობისთვის, განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - 46.5 – 1004 ქვეთავის და 1004.1.2 ცხრილის შესაბამისად.

ARCH EXPERTISE CENTER LTD 402050052

2. **სასაწყობო ჯგუფი სწ-1** დაკავებულობა - საწყობები: სამედიცინო აპარატურის, პლასტმასის და მუყაოს ნაწარმის, სინჯარების, ავეჯის, გარდერობი, არქივი -3.00, +8.05 ნიშნულებზე; *წესების* 311.2 **ქვეთავის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს შენობებს, სადაც ინახება
   - ტანსაცმელი, მათ შორის-შალის;
   - თოკები;
   - მუყაო და მუყაოს ყუთები;

3. **დამხმარე და სხვა დანიშნულების ჯგუფი დს** დაკავებულობა -წყლის ავზი და ტუმბო -3.00 ნიშნ-ზე , ტექნიკური ოთახი +11.55 ნიშნ-ზე, შეესაბამება *წესების* 312.1 **ქვეთავის** მოთხოვნებს.

   დს დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - 27.9 – **1004 ქვეთავის** და **1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად.

4. **საქმიანი ჯგუფი სქ** - რეცეფცია, პრეანალიტიკა, ლაბორატორია, მოსაცდელი, კაბინეტები, სამზარეულო ±0.00, +4.35, +8.05 ნიშნულებზე;
   წესების 304.1 **ქვეთავის** მიხედვით მოიცავს ამბულატორიულ კლინიკებს, ბანკებს, საფოსტო განყოფილებებს.
   სქ დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - 9.3, **1004 ქვეთავის** და **1004.1.2 ცხრილის** მიხედვით.

5. **თავშეყრის ჯგუფი თვ-2** - ამბულატორიის სასადილო +8.05 ნიშნულზე. შეესაბამება **303.3-ე ქვეთავს,** რომელიც მოიცავს:
- რესტორნებს;
- კაფეებს და კვების მსგავს დაწესებულებებს (მათთან დაკავშირებული სამზარეულოების ჩათვლით), საბანკეტო დარბაზებს;
- ღამის კლუბებს.

   თვ-2 დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - 1.4 **1004 ქვეთავის** და **1004.1.2 ცხრილის** მიხედვით, საერთო დაკავებულობის დატვირთვა ტოლია 49-ის.

6. **თავშეყრის ჯგუფი თვ-3** საკონფერენციო +8.05 ნიშნულზე; შეესაბამება **310.3-ე ქვეთავს,** რომელიც მოიცავს:
- საგამოფენო დარბაზებს;
- სალექციო დარბაზებს;
- ბიბლიოთეკებს

   თვ-3 დაკავებულობისათვის, განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - 1.4, **1004 ქვეთავის** და **1004.1.2 ცხრილის** მიხედვით, საერთო დაკავებულობის დატვირთვა ტოლია 56-ის.

10. კონსტრუქციის ტიპების შეფასება.

შენიბა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მიხედვით არსებული და სარეკონსტრუქციო საპროექტო შენობის პროექტის კორექტირებისას გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის (განსაზღვრულია 721.1 ცხრილის მიხედვით), შენობაში არსებული დაკავებულობის საფუძველზე და შენობის საპროექტო სიმაღლიდან გამომდინარე განსაზღვრულია II-B კონსტრუქციის ტიპი.

პროექტის კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ საპროექტო შენობის ელემენტები (გარე და შიგა მზიდი კედლები, სართულშუა და სახურავი) აკმაყოფილებს **601 ქვეთავს** და **601 ცხრილის** მოთხოვნებს და შეესაბამება II-B კონსტრუქციის ტიპისთვის მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხს.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღვრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო და გარე კედლების სამშენებლო მასალიდან გამომდინარე, რაც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება აღწერილი.

11. სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

503 ცხრილის მიხედვით, საპროექტო შენობაში არსებული დაკავებულობების და კონსტრუქციული II-B ტიპის მიხედვით დადგენილია შენობის დასაშვები სართულიანობა, სიმაღლე და ფართობი.
შენობის თითოეული სივრცე დაყოფილია დაკავებულობების მიხედვით. თითოეულ სართულზე დაკავებულობების ფართობის ჯამური მაჩვენებელი გასასვლელი საშუალებების ფართობებთან და სხვა ელემენტებთან ერთად არ ცდება **503 ცხრილში** მითითებულ სართულების ფართობთან დაკავშირებულ ზღვრებს.
საპროექტო შენობის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს *„წესების“* 503 ცხრილის მოთხოვნებს.

12. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება.

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის, დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასასვლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე მე-10 თავის შესაბამისად.

-*წესების* მე-10 თავის 1021.2 ქვეთავის და 1021.2(2) ცხრილიდან გამომდინარე, 1004 ქვეთავის, 1004.1.2 ცხრილის საფუძველზე განსაზღვრული დაკავებულობის დატვირთვების გამოთვლის და თითოეული სართულზე მათი დაჯგუფების შემდეგ პროექტით გათვალისწინებულია და შენობას ემსაუხურება ორი შიდა გზა-კიბე, *წესების* 1009.3 ქვეთავის მიხედვით ორივე შემოზღუდულია ცეცხლმედეგი კედლებით, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი შეადგენს ორ საათს, რაც შეესაბამება 1009.3.1.2 ქვეპუნქტს.
-3.00 ნიშნულზე მდებარე დამხმარე დს და სასაწყობო ჯგუფის სწ-2 დაკავებულობებს საერთო დაკავებულობის დატვირთვიდან და გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილიდან გამომდინარე (ს.დ.დ.=25) ემსახურებათ ორი გზა-კიბე, რომლებიც მოწყობილია 1015 და 1021.2 ქვეთავების შესაბამისად. გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი შეადგენს 45.35 მ-ს.
±0.00 ნიშნულზე მდებარე საქმიან ჯგუფის სქ დაკავებულობებს საერთო დაკავებულობის დატვირთვიდან და გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილიდან გამომდინარე (ს.დ.დ.=51) მოთხოვნილი ორის ნაცვლად ემსახურებათ 4 გარედ გასასვლელი გზა-კარი, რომლებიც მოწყობილია 1015 ქვეთავის შესაბამისად. გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი შეადგენს 42.20 მ-ს.
+4.35 ნიშნულზე მდებარე საქმიან ჯგუფის სქ დაკავებულობებს საერთო დაკავებულობის დატვირთვიდან და გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილიდან გამომდინარე (ს.დ.დ.=60), ასევე +8.05 ნიშნულზე მდებარე თავშეყრის თვ-2, თვ-3, საქმიან ჯგუფის სქ და სასაწყობო ჯგუფის სწ-1, სწ-2 დაკავებულობებს საერთო დაკავებულობის დატვირთვიდან და გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილიდან გამომდინარე (ს.დ.დ.=116) ემსახურებათ შიგა გასასვლელის 2 გზა-კიბე და გასასვლელის გზა-დერეფანი. გზა-კიბეები მოწყობილია 1009 ქვეთავის შესაბამისად და მათგან ერთი გადის პირდაპირ შენობის გარეთ, ხოლო მეორე 1023 ქვეთავის შესაბამისად მოწყობილი გასასვლელის გზა-დერეფნის საშუალებით გადის პირდაპირ შენობის გარეთ. გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი შეადგენს 37.15 მ-ს. +11.55 ნიშ-ზე მდებარე ტექნიკურ სართულს, ტექნიკურ ოთახს (საბოილეროს), ვინაიდან მისი ფართბი=36.57 მ² და არ აღემატება 46 მ²-ს, 1015.3 ქვეთავის მიხედვით არ მოეთხოვება 2 გასასვლელი, მაგრამ ემსახურება ერთი გზა-კიბე და პწკალა კიბე.

გასასვლელის გზა-დერეფანი მოწყობილია 1023 ქვეთავის შესაბამისად და შემომზღუდავი კედლების, იატაკის და ჭერის ცეცხლმედეგობის ხარისხი 1 საათიანია 1023.3 ქვეთავის მოთხოვნების მიხედვით, მასში მოწყობილ ღიობებში ჩასმული კარის ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი შეადგენს 20 წუთს, რაც შეესაბამება 716.5 ცხრილის მოთხოვნებს;

შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის და გასასვლელის კომპონენტების ზომები გათვალისწინებულია მე-10 თავის შესაბამისად.

პროექტის მიხედვით შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით. *წესების* 1016 ქვეთავისა და 1016 ცხრილის მიხედვით გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი დაშვებულია თვ-2 -თვის 75 მეტრი, სქ-თვის 90 მეტრი, ხოლო დს და სწ-2- თვის - 120 მ.
რაც პროექტში დაცულია.
შიდა გასასვლელის გზა-კიბეები ±0.00 მ ნიშნ. 1027 ქვეთავის მიხედვით მოწყობილი შენობიდან გამოსასვლელი გზა-კარებით გადის ეზოში და ტერიტორიაზე მოწყობილია უსაფრთხო გზა-ბილიკი, რომელიც თავის მხრივ უკავშირდება საზოგადოებრივ სივრცეს.

13. გზა–კიბეებისა და სხვა გასასვლელის საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება.

გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია 1009 ქვეთავის შესაბამისად.

გზა-კიბეების სიგანე განსაზღვრულია 1009.4 ქვეთავის და შენობის სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია 1005.3.1. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი (7.6). პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია - 1,20 მ სიგანის ორი და ერთი 1.10 მ სიგანის გზა-კიბეები და მიღებული სიგანე შენარჩუნებულია შენობის ყველა სართულისთვის. კიბეებზე სავალი ზედაპირის ღია მხარეს მოწყობილია მოაჯირები 1013 ქვეთავის შესაბამისად, ხოლო კედლის მხარეს სახელურები 1012 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით. სწორად არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს. გზა-კიბეების ბაქნების ზომები შეესაბამება 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.

გასასვლელების სისტემაში შემავალი დერეფნები მოწყობილია 1018 ქვეთავის შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. დერეფნის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია 1018.2 ქვეთავის და თითოეულ სართულზე დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებლის მიხედვით. დერეფნების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია 1005.3.2. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი (5.1 მმ). პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია მინიმუმ 1.35 მ სიგანის.

გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია 1008 ქვეთავის შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გზა-კარის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია 1008.1.1 ქვეთავის და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია 1005.3.2. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი (5.1 მმ). ყველა კარი აკმაყოფილებს განსაზღვრულ მინიმალურ მოთხოვნას, სიგანე 90 გრადუსით გაღებულ მდგომარეობაში უზრუნველყოფს მოთხოვნილ 82 სმ-ზე მეტ თავისუფალ სიგანეს.

14. მისაწვდომობის შეფასება

მე-11-ე თავის მიხედვით, გეგმებზე მითითებულია მისაწვდომობის სვლაგეზი (1104 ქვეთავი), გათვალისწინებულია მისაწვდომი შესასვლელი, რომლებიც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მისაწვდომობას ±0,00 მ ნიშნულებზე.
შენობის ყველა დაკავებული დონე არის მისაწვდომი, რომლებზეც მოხვედრა შესაძლებელია ლიფტის საშუალებით. ლიფტის კაბინა გაბარიტების მიხედვით, არის მისაწვდომი და აკმაყოფილებს 1109.7 ქვეთავის მოთხოვნებს;

მოწყობილია მისაწვდომი ტუალეტები შშმ პირთათვის და აკმაყოფილებს 1109.2 ქვეთავის მოთხოვნებს.
სწორად არის განსაზღვრული მისაწვდომი სვლაგეზი და აკმაყოფილებს 1104 ქვეთავის მოთხოვნებს;
ვინაიდან შენობა მთლიანად აღჭურვილია ავტოსამხეფი სისტემებით თავშესაფრის ფართობები საჭირო არ არის.
ყველა კარი, რომელიც გასასვლელი საშუალების ნაწილია, არის მისაწვდომი.
შშმ პირთა გადაადგილება საზოგადოებრივი სივრციდან შენობამდე და პირიქით შესაძლებელია დაუბრკოლებლად.
ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები" - თან შესაბამისობა:
შენობის ყველა სართულზე მოწყობილი იატაკი არის მყარი, მდგრადი და არასრიალა მასალით დაფარული. დონეთა ცვლილება შეესაბამება 302 და 303 ქვეთავებს. თითოეულ მისაწვდომ სივრცეში მოწყობილია 304.3.1 ქვეთავის მიხედვით მოსატრიალებელი სივცეები 1700 მმ. დიმატრით. გადაფარვა არ აღემატება 304.3.1.1 ქვეთავით განსაზღვრულ 250 მმ.-ს. ყველა მოსაბრუნებელი სივრცე აკმაყოფილებს 304 ქვეთავის მოთხოვნებს. იატაკის თავისუფალი სიგანე შენობის ყველა მისაწვდომ სივცეში აკმაყოფილებს 305.3.1 ქვეთავის მოთხოვნებს. თავისუალი სივრცე მუხლის სიმაღლემდე და ფეხის ფალანგისთვის აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, ყველა შესაბამის მოწყობილობასთან დანადგართან და ავეჯთან გათვალისწინებულია 306 ქვეთავით მოთხოვნილი სივრცეები.
მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები მოწყობილია დონეთა ცვლილების გარეშე უწყვეტად საზოგადოებრივი სივრციდან შენობის მიმართულებით, შენობაში მოწყობილი კარები და ბილიკები აკმაყოფილებს 402-403 ქვეთავის მოთხოვნებს. კარი და გზა-კარის თავისუფალი სიგანისა და კართან მანევრირების თავისუფალი სივრცის მიმართ მოთხოვნები გათვალისწინებულია 404 ქვეთავისა და ამავე ქვეთავში არსებული ცხრილების 404.2.3.2 და 404.2.3.3 შესაბამისად.
ლიფტის კაბინა შეესაბამება 407-708-409 ქვეთავის მოთხოვნებს.

სახელურები კიბის უჯრედში მოწყობილია ორივე მხარეს და დაცულია მისი უწყვეტობა, მდებარეობა, სიმაღლე, თავისუფალი სივრცე, ხელმოსაჭიდი ზედაპირები, გაგრძელება კიბეების ბოლოებში 505 ქვეთავის შესაბამისად.
ტუალეტის მისაწვდომი ოთახი მოწყობილია საქმიანი ფუნქციის სივცებში. შესაბამისი ნაკვეთურების გაბარიტები, მდებარეობა და ხელსაჭიდები აკმაყოფილებს 603-604 ქვეთავის მოთხოვნებს.
ხელსაბანის და ნიჟარის მოთხოვნები დაცულია 606 ქვეთავის შესაბამისად.
მისაწვდომია შიგა და გარე ყველა სივრცე, რომლებიც მისაწვდომ სვლაგეზზე მდებარეობს.

15. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება

საპროექტო შენობის გარე კედლების ყველა კომპონენტი, კერძოდ, გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი და ღიობების დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია 705 ქვეთავის მიხედვით და შეესაბამება 705.8 ცხრილს. მოცემულ პროექტში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის და 602 ცხრილის მიხედვით, გათვალისწინებულია "ე-ა" ღერძებში მდებარე გარე კედლების ცეცხლმედეგობის ერთსაათიანი ხარისხი, ხოლო დანარჩენ გარე კედლებს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის მიხედვით ცეცხლმედეგობა არ მოეთხოვებათ.
გარე კედლებში ჩასმული ღიობის ცეცხლისაგან დამცავი ანაწყობები (კარები, ფანჯრები) აკმაყოფილებს *წესების* 705.8 ცხრილის მოთხოვნებს ფართობისა და ცეცხლმედეგობის ხარისხის მიხედვით, ასევე 705.8.5 ქვეთავის მოთხოვნებს ღიობების შვეულ გამიჯვნასთან დაკავშირებით.

16. სახურავის ანაწყობების შეფასება

სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია **601 ცხრილის** მიხედვით, კონსტრუქციის ტიპის შესაბამისად, სახურავის კონსტრუქციას და არაძირითად ნაწილებს არ მოეთხოვებათ ცეცხლმედეგობის ხარისხი, მაგრამ პროექტით, კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით გათვალისწინებულია **B კლასის** სახურავის მოწყობა.

„1505.3 **B კლასის სახურავის ანაწყობები.** B კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც ტესტირების დროს უძლებს ზომიერი ცეცხლის ზემოქმედებას.“

IA	IB	IIA	**IIB**	IIIA	IIIB	IV	VA	VB
B	B	B	**C ᵇ**	B	C ᵇ	B	B	C ᵇ

17. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება

საპროექტო შენობის თითოეული დაკავებულობა ინდივიდუალურად არის კლასიფიცირებული წესების **508 ქვეთავის** შესაბამისად. პროექტში წარმოდგენილია შერეული დაკავებულობები **სწ-1, სწ-2, დს, თვ-2, თვ-3** და **სქ** ჯგუფების სახით.

+4.35 მ. ნიშნულზე განლაგებული საქმიანი ჯგუფის დაკავებულობა, +8.05 მდებარე თავშეყრის ჯგუფის თვ-2, თვ-3 და სასაწყობო სწ-2-დაკავებულობებისაგან გამიჯნულია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე თარაზული ანაწყობებით (ვინაიდან შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით).

+8.05 ნიშნულზე მდებარე საქმიანი სქ დაკავებულობა თავშეყრის და სასაწყობო სწ-2 დაკავებულობისგან გამიჯნულია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე კედლებით **508.4 ცხრილის** შესაბამისად, ხოლო მათში მოწყობილი კარის ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი შეადგენს 20 წუთს, რაც შეესაბამება **716.5 ცხრილის** მოთხოვნებს;

გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეების შემომზღუდავი კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი 2 საათიანია **1009.3.1.2 ქვეპუნქტის** შესაბამისად. აღნიშნულ კედლებში მოწყობილია 90 წუთიანი ცეცხლმედეგობის თვითიკეტებადი კარები, რაც აკმაყოფილებს **1009.3.1.2 ქვეთავის, 1009.3.1.4 ქვეთავის და 716.5 ცხრილის** მოთხოვნებს;

-3.00 მ. ნიშნულზე განთავსებული ტუმბოს ოთახი ყველა სხვა ფართისგან გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგი ზღუდით, ხოლო კარის ცეცხლმედეგობის ხარისხი შეადგენს 90 წუთს, რაც შეესაბამება **716.5 ცხრილის** მოთხოვნებს;

გასასვლელის გზა-დერეფანი მოწყობილია **1023 ქვეთავის** შესაბამისად და შემომზღუდავი კედლების, იატაკის და ჭერის ცეცხლმედეგობის ხარისხი 1 საათიანია **1023.3 ქვეთავის** მოთხოვნების მიხედვით, მასში მოწყობილ ღიობებში ჩასმული კარის ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი შეადგენს 20 წუთს, რაც შეესაბამება **716.5 ცხრილის** მოთხოვნებს;

შენობაში არსებული შახტების (საჰაერო და საკომუნიკაციო) შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 2 საათიანი, რაც შეესაბამება **713.4 ქვეთავის** მოთხოვნებს.

18. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება.

- შენობა მთლიანად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით 903.2.1.2, 903.2.1.3, 903.2.2, 903.2.11.1 ქვეთვების მიხედვით.
- პროექტით გათვალისწინებულია სახანძრო მილდგარების სისტემის მოწყობა, მილდგარების სახელოს მისაერთებლები ისეა განლაგებული, რომ შენობის ყველა ნაწილი ექცევა 30მ სიგრძის სახელოზე მიმაგრებული თავაკიდან 9.0 მ-ის საზღვრებში. რომელიც შეესაბამება *წესების* 905.3.1-ის ქვეთავის მოთხოვნებს.

ლიფტი და ერთი კიბის უჯრედი აღჭურვილია კვამლის საკონტროლო - დაწნევის სისტემებით 909.21 ქვეთავის მიხედვით.

შენობაში გათვალისწინებულია სახანძრო განგაშის და ცეცხლაღმომჩენი სისტემები, კერძოდ:

1) 907.2 ქვეთავების მიხედვით საჭირო სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა, რომლის კოლოფი 907.4.2.1 ქვეთავის თანახმად განთავსებულია თითოეული გასასვლელიდან 1,5 მ-ის ფარგლებში ისე, რომ მათთან მისასვლელი მანძილი 60მ-ს არ აღემატება;
2) 907.5.2.2 ქვეთავის მიხედვით საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემა
3) 903.3.1.1.1 ქვეთავების მიხედვით საჭირო ცეცხლის ავტომატური აღმომჩენი მოწყობილობები.

გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრების განთავსება 906 ქვეთავის შესაბამისად.

- საპროექტო მიწის ნაკვეთის შესასვლელთან გათვალისწინებულია სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი ერთი მისაერთებლის მოწყობა, რაც მოთხოვნილია „*წესების*“ 912 ქვეთავში.

19. წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება

წყალსადენის სისტემები და ფიქსირებული მოწყობილობები დადგენილია დაკავებულობის ტიპის მიხედვით და აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს წესების მე-16 თავის მიხედვით.

სქ და თვ ქვეჯგუფის დაკავებულობებში, წყალსადენის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა განსაზღვრულია თითოეული დაკავებულობიდან გამომდინარე და აკმაყოფილებს მინიმალურ რაოდენობებს 1602.2 ქვეთავის და 1602.1 ცხრილის მიხედვით.

20. განსაკუთრებული პირობები (დამატებითი)

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს სანებართვო არქიტექტურული პროექტის, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ და ამ დადგენილებიდან გამომდინარე რეგულაციებთან შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, საპროექტო-სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე - არქიტექტორი მერაბ გუჯეჯიანი.

3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება *წესებში* გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული *წესების* მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

ექსპერტიზის დასკვნა

დამკვეთის, შპს. „ლაბორატორია მრჩეველი“-ს (ს/კ 205256248) მიერ, №AEC-III-C-C12-20 კონტრაქტის დანართის საფუძველზე წარმოდგენილ ქ. თბილისში, ე. ონიანის ქ. N10, ს/კ 01.13.01.020.223, ამბულატორია „ლაბორატორია მრჩეველი“-ს საპროექტო დოკუმენტაციის არქიტექტურული ნაწილების, მოქმედი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტის მიერ დადგინდა - მოწოდებული სახით ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის არქიტექტურული პროექტის ნაწილები შესაბამობაშია საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან და **საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.**

ხელმოწერები:

ექსპერტი: ნინო მენთეშაშვილი

ექსპერტიზის ანგარიში ტექნიკური წესით გადაამოწმა

ტექნიკურმა მენეჯერმა ნატალია ვასილიევამ

ინსპექტირების ანგარიში ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა

ხარისხის მენეჯერმა რუსუდან ბაჯელიძემ

შპს „არქ ექსპერტიზის ცენტრი“-ს

თანამშრომლის ნინო მენთეშაშვილის

დეკლარაცია

ჩემს მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია პროფესიული საქმიანობის შესახებ არის სწორი, რასაც ვადასტურებ ხელის მოწერით.

ნ. მენთეშაშვილი

ნინო მენთეშაშვილი

ნინო მენთეშაშვილი



მობილური: 995551302525

ელ.ფოსტა: nino.menteshashvili@yahoo.com

ოჯახური მდგომარეობა:დაქორწინებული

დაბადების თარიღი: 14 აგვისტო, 1963წ.

განათლება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, სექტემბერი / 1983 - ივლისი / 1988
არქიტექტორი, არქიტექტურის ფაკულტეტი
მაგისტრი
მიბმული ფაილი

სამუშაო გამოცდილება

შპს არქ ტრენინგ ცენტრი - ტრენერი

შპს არქ ექსპერტიზის ცენტრი, მაისი/ 2017-დან დღემდე

არქიტექტორი ექსპერტი

ექსპერტად მუშაობის განმავლობაში შესრულებული სამუშაოები შემდეგ ობიექტებზე:

1. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ქ.ბათუმი, ბაგრატიონის ქ.N160, ჯავახიშვილის ქ.N43, ბაგრატიონის ქ.N156, ბაგრატიონის ქ.N158 ტერიტორიაზე;
2. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ქ.ბათუმი, დ.აღმაშენებლისქ.N12;
3. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი გონიო, კახაბრის დასახლების ტერიტორიაზე ს/კ 05.32.27.045);
4. საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი- სასტუმრო, ქ. თბილისი, ვარკეთილი(ს/კ 01.19.39.012.037);
5. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ქ. თბილისი, პეტრე ქავთარაძისქ.N27-ის მომდებარედ (ს/კ 01.14.03.040.392);
6. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი ქ.თბილისი, ტაბახმელა, სოფ.შინდისი(ს/კ/81.02.97.572);
7. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი ქ.თბილისი, დაბა წყნეთი, რუსთაველის ქ.N34 (ს/კ 01.20.01.136.035);
8. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, დაბა ბაკურიანი(ს/კ 64.30.04.832);
9. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი დაბა გუდაური(ს/კ 74.06.11.928);
10. ორი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი ქ.თბილისი, დიდი ლილო(ს/კ81.08.06.470);
11. ქ. თბილისი, დიდი ლილო, საწყობი(ს/კ 81.08.17.741);
12. საწყობი - ხილის შესანახი, მცხეთა, ქსოვრისი(ს/კ 72.01.10.120);
13. ოჯახური ტიპის სასტუმრო, მცხეთა, მუხრანი(ს/კ 72.09.18.149);
14. რუსთავის წყალი -რეკონსტრუქცია, ქ.რუსთავი, წმ.ნინოს N5(ს/კ 02.05.07.562);
15. ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირზირი N61-ში მდებარე შენობაზე საოფისე ფართების დაშენება (ს/კ 01.16.05.003.069);
16. ქ. თბილისი, ქვიშის საშრობი საამქრო - ლილოს დასახლება(ს/კ 81.08.19.404);
17. ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი N15 (ს/კ 01.19.21.001.193), კომერციული შენობა;

18. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ქ. რუსთავი- XXI მ/რ, ს/კ 02.03.05.018;
19. დაბა ბაკურიანი, რუსთაველის ქ. შპს „არეა“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 64. 30. 17. 044), მრავალფუნქციური სასტუმრო კომპლექსი;
20. დაბა მესტია, კახიანის ქუჩაზე სასტუმროს შენობა;
21. მცხეთა, მისაქციელში, სოფელ ნატახტარში ს/კ 72.03.23.437, ლედ სანათების ასაწყობი საწარმო;
22. ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N68ა, ს/კ 01.18.13.033.018, თეთრეულისა და ტანსაცმლის სამრეცხაო;
23. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, ქ. თბილისი. ნაფეტვრები;
24. მრავალფუნქციური კომპლექსი, ქ. თბილისი, კვირაცხოვლის ქუჩა;
25. ქ. დუშეთი, ობსერვატორიის მიმდებარედ, ს/კ 71.51.10.158, საოჯახო სასტუმრო;
26. ქ. თერჯოლა, შპს „თერჯოლმშენის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, ს/კ 33.09.33.373, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;
27. ქ. თბილისი, ჭონქაძის ქ. N21, ს/კ 01.15.05.061.017, სასტუმრო „ასტორია“;
28. ქ. მარნეული, აბდულა შაიგის ქ №3-ში, ს/კ 83.02.19.347, საცურაო აუზი;
29. ქ. თბილისი, დავით გურამიშვილის გამზირი N28, ს/კ 01.12.08.016.006, მრავალფუნქციური შენობა (საცხოვრებელი, კომერციული);
30. ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. N10, მ. ჭიაურელის ქ. N5, ლუბლიანას ქ. N4, ჩაჩავას ქ. N1, ლუბლიანას ქ. N5, ს.კ. 01.13.02.006.048, სამედიცინო და ჯანმრთელობის დანიშნულების ობიექტი;
31. ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი N15 (ს/კ 01.19.21.001.193), კომერციული შენობა;
32. საგარეჯოს რაიონ სოფელ ხაშმში, ს/კ 55.15.63.038, ღვინის ქარხნა;
33. დაბა ბაკურიანი, რუსთაველის ქუჩაზე (ს/კ64.30.02.122), საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტი;
34. ქ. თბილისში, სამრეკლოს ქ. N13, ს/კ 01.17.01.016.008, ოჯახური ტიპის სასტუმრო;
35. მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი მუხათგვერდი ს/კ 72.12.04.044, მრავალფუნქციური შენობა (ბიბლიოთეკა, სასტუმრო);
36. ქ. თბილისი, ნაკადულის ქუჩაN2-ის მიმდებარე ტერიტორიაზე (ს/კ № 01.19.33.008.060), სასაწყობე შენობა;
37. ქ. გურჯაანი, დავით აღმაშენებლის ქუჩა #61-63-ში (საკ. კოდი #51.01.61.504) სასტუმრო;
38. ყაზბეგის რაიონი, დაბა გუდაური(ს/კ: 74.06.11.287).სასტუმროს შენობა;
39. ქ. თბილისი, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე ს/კ 01.72.14.008.293, მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსი;
40. ქ. თბილისი, სამრეკლოს ქ. N13, ს/კ 01.17.01.016.008, ოჯახური სასტუმროს შენობა;
41. ქ. თბილისი,ნაძალადევის რაიონი მექანიზაციის ქუჩა # 1-ში, ს/კ 01.12.12.002.001, მრავალფუნქციური შენობა;
42. მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნატახტარი (ს/კ.72.03.26.452). ,,კოკა-კოლა-ს“ სათაო ოფისის შენობა;
43. ქ. თბილისი, სოფელი ქვემო ლისი საკადასტრო კოდი 72.16.18.965, მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი;
44. დაბა სტეფანწმინდა, ს/კ 74.01.11.134, სასტუმროს შენობა;
45. მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი წეროვანი, ს/კ 72.08.20.062, მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის საწარმო;

46. დაბა მესტია, კახიანის ქუჩაზე სასტუმროს შენობა;

47. ოზურგეთის რაიონი, კაპროვანი, ქვემო ნატანები, ს/კ 26.01.50.455, სასტუმროს შენობა;

48. ქ.თბილისი, ლერწმის ქ N5, ს/კ 01.17.14.003.679, მრავალბინიანი საცხ. სახლი;

49. ქ.თბილისი, წყნეთის გზატკეცილი, N43-ის მიმდებარედ, 01.14.06.007.055 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;

50. ქ. თბილისი, ტერევერკოს ქ.№14-ში, ს/კ 01.13.01.018.093, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;

51. ქ. ახალციხეში, ახალციხის გზატკეცილის მიმდებარედ, ს/კ 62.09.60.977, პროკურატურის საოფისე შენობა;

52. ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, სოფ. გველეთი, ს/კ 74.01.15.008, სასაწყობე შენობა;

53. ქ. თბილისი, კახეთის გზადკეცილი #65-ში (ს/კ 01.19.21.003.129), მრავალფუნქციური შენობა;

54. ქ.თბილისი, ქინძმარაულის ჩიხი, ს/კ 01.19.34.003.080, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;

55. ქ. თბილისი, ლისის ტბის მიმდებარედ, ს/კ 72.16.21.679, საგანმანათლებლო ობიექტი - სკოლის შენობა.

განსახლების ობიექტების ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვოდოკუმენტაციით უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო,იან/2014-დან 04 / 2017 - მდე,

მოვალეობები: -სამმართველოს საქმიანობის ხელმძღვანელობა, კოორდინირება, მონიტორინგი;-აზომვითი სამუშაოების ჩატარება და შესაბამისი დეფექტური აქტის საფუძველზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; ცალკეულ ობიექტებზე მასალების მომზადება, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე კონკურსების გამოცხადება;-საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე გამოცხადებულ კონკურსებზე წარმოდგენილი წინადადებების განხილვა, კომპეტენციის ფარგლებში გამარჯვებულის გამოსავლენად სატენდერო კომისიაზე წარდგენა; -წინადადებების წარდგენა სატენდერო კომისიისათვის საკვალიფიკაციო და ტექნიკური მოთხოვნების თაობაზე, სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ტენდერის გამოცხადების უზრუნველყოფა.

ამ პერიოდში შესრულებული სამუშაოები:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, დევნილთა გრძელვადიანი განსახლებისთვის გადმოცემულ მიწის ნაკვეთებზე, ახალი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა შემდეგ მისამართებზე:

1. ქ. ქუთაისი, შერვაშიძის ქუჩა N53-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე თექვსმეტ სართულიანი 25 კორპუსი.
2. ქ. ზუგდიდი, ბარამიას ქუჩა N7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე თოთხმეტ სართულიანი 29 კორპუსი.
3. ქ. წყალტუბო, გვიშტიბი, 8 სართულიანი რვა კორპუსი;
4. ქ. გორი, მოსკოვის ქუჩა, 8 სართულიანი ოთხი კორპუსი;
5. ქ. მცხეთა, არმაზი, ყოფ. ტურბაზის ტერიტორიაზე 2 ცხრა სართულიანი კორპუსი.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, დევნილთა გრძელვადიანი განსახლებისთვის გადმოცემული შენობების საცხოვრებელ ბინებად რეაბილიტაციისთვის ჩატარებული სამუშაოები შემდეგ ობიექტებზე:

1. ქ. თბილისი, სკოლის შენობები(6 ობიექტი -ღოღობერიძის ქუჩაზე, თემქის დასახლებაში და სხვა);
2. ქ. ბორჯომი, ვაშლოვანის ქუჩაზე სამედიცინო დანიშნულების შენობა;
3. ქ. გორი, თავდაცვის შენობა.

დევნილთა განსახლების ობიექტებზე ჩასატარებელი სარეაბილიტაციო, სარემონტო სამუშაოები(სახურავების, წყალ-კანალიზაციის და იატაკების) - თბილისი, გორი, წეროვანი და ა.შ.

მიზეზი: სხვა სამსახურში გადასვლა

შტატგარეშე მოსამსახურე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, თებ / 2013 - იან / 2014, (11თვე)

მოვალეობები: დევნილთა განსახლების ობიექტებში არსებული საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლა(ობიექტების მდგომარეობის შესწავლა) , ობიექტებზე მისვლა, მობინადრეებთან გასაუბრება, მათი საჭიროებებისა და პრობლემების აღწერა (კომპეტენციის ფარგლებში) , შენობის აზომვა, შენობის ტექნიკური მახასიათებლების აღწერა, სპეციალური ფორმის შევსება, ხელმძღვანელობისთვის ონფორმაციის მიწოდება. დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტების რეაბილიტაციის ღონისძიებათა დაგეგმვა და განხორციელების ორგანიზება. სარეაბილიტაციო ობიექტების საკონკურსოდ გასატანი მასალების მომზადება. (შენობის გეგმის გამოხაზვა, მოცულობების დათვლა). მიზეზი: დაწინაურება

მიზეზი: დაწინაურება

არქიტექტორი, შპს"კეი ენდ კეი", დეკ / 2010 - თებ / 2013 (26 თვე - 2 წელი და 2 თვე) მოვალეობები:
არქიტექტურულ პროექტებზე მუშაობა
მიზეზი: სხვა სამსახურში გადასვლა

არქიტექტორი, შპს"Mარქიტექტურა, ოქტ / 2009 - დეკ / 2010 (14 თვე - 1 წელი და 2 თვე) მოვალეობები:
ინდივიდუალური საცხოვრებელი ბინების პროექტებზე მუშაობა

მიზეზი: სხვა სამსახურში გადასვლა

არქიტექტორი, შპს"ქოხი", მაის / 2004 - ოქტ / 2009 (65 თვე - 5 წელი და 5 თვე) მოვალეობები:
არქიტექტურულ პროექტებზე მუშაობა

მიზეზი: სხვა სამსახურში გადასვლა

არქიტექტორი, საქქალაქმშენპროექტი, სექტ/1988-მაის/2004(188თვე-15წელი და8 თვე) მოვალეობები: ქალაქგეგმარებით პროექტებზე მუშაობა

მიზეზი: ხელშეკრულების ვადის გასვლა

პრეპარატორი, თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტზე არსებული საპროექტო ბიურო, სექტ / 1982 - სექტ / 1983 (12 თვე - 1 წელი)
მოვალეობები: პრეპარატორის ფუნქცია-მოვალეობები

მიზეზი: სწავლის გაგრძელება

ოპერატორი, გამომთვლელი ტექნიკის სარემონტო ქარხნია, სექტ/1980-სექტ/1981(12 თვე - 1 წელი)
მოვალეობები: საოპერატორო სამუშაოს შესრულება მიზეზი:

სწავლის გაგრძელება

სრული სტაჟი: 446 თვე (37წელიდა 2 თვე)

ენები

ქართული (წერა: ძალიან კარგი, მეტყველება: ძალიან კარგი), რუსული (წერა: ძალიან კარგი, მეტყველება: ძალიან კარგი), ინგლისური (წერა:კარგი, მეტყველება:კარგი)

კომპიუტერული პროგრამები

Microsoft Office Word (ძალიან კარგი), Microsoft Office Excel (ძალიან კარგი), ArchiCAD (ძალიან კარგი), Microsoft Office PowerPoint (ძალიან კარგი), Microsoft Office Outlook (ძალიან კარგი)

ტრენინგები, სხვა მიღწევები

თბილისის მერიის, მაისი/2010-დეკემბერი/2012
ინგლისური ენის კურსები

რეკომენდატორები

გია ნაჭყებია, განსახლების ობიექტების ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო. gianatchkebia@rambler.ru, 599035437


Georgia
IDENTITY CARD
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
ნინო
NINO
გვარი / LAST NAME
მენთეშაშვილი
MENTESHASHVILI
მოქ. / CIT
GEO
სქესი / SEX
მდ / F
პირადი No / PERSONAL No
01009013304
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
14.08.1963
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
08.10.2022
ბარათის No / CARD No
12IB55641
ხელმოწერა
SIGNATURE


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
08.10.2012
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
IDGE012IB55641301009013304<<<<
6308144F2210089GE0<<<<<<<<<<<3
MENTESHASHVILI<<NINO<<<<<<<<<<


ДИПЛОМ
ВАКАЛАВРИ
НВ № 066462
ДИПЛОМ
С ОТЛИЧИЕМ
НВ № 066462

შპს „არქ ექსპერტიზის ცენტრი“-ს

თანამშრომლის ნატალია ვასილიევას

დეკლარაცია

ჩემს მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია პროფესიული საქმიანობის შესახებ არის სწორი, რასაც ვადასტურებ ხელის მოწერით.

ნატალია ვასილიევა

რ ე ზ ი უ მ ე (CV)



სახელი და გვარი:	**ნატალია ვასილიევა**
დაბადების ადგილი:	**საქართველო, თბილისი**
ოჯახური მდგომარეობა:	**დაოჯახებული**
მისამართი:	**თბილისი, შალვა ცინცაძის ქ., 41**
ტელეფონი:	**(+995-32) 2-66-33-38; მობ. 5 55 599 479**
ენები:	**ქართული სრულყოფილად, რუსული - მშობლიური, ინგლისური კარგად**

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა:

1974–1979 წწ – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. **არქიტექტურის მაგისტრის დიპლომი (წარჩინებით).**

1979–1981 წწ – უცხო ენების შემსწავლელი ორწლიანი კურსები (თბილისის სახელმწიფო უცხო ენათა ი.ჭავჭავაძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტთან არსებული). **წარჩინების დიპლომი.**

1981–1985 წწ – საცხოვრებელი სახლების დაპროექტებისა და მშენებლობის ცენტრალური სამეცნიერო– კვლევითი ინსტიტუტი, ქ. მოსკოვი. **ასპირანტურა, მოწმობა.**

2011-2012 წ – ქ.თბილისის მერიის ინგლისური ენის კურსები - 2-ე და 3-ე დონეები. **სერტიფიკატები.**

2016 წ - ქ. თბილისის, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს მთავრობის 41 დადგენილების „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების“ ტერნინგები.

სამუშაო გამოცდილება:

2017.11- შპს „არქ ექსპერტიზის ცენტრი“,

თანამდებობა: **ტექნიკური მენეჯერი.**

2017.05-2017.10 შპს „არქ ექსპერტიზის ცენტრი“,

თანამდებობა: **არქიტექტორი-ექსპერტი.**

2017.05- შპს „არქტრენინგ ცენტრი“,

თანამდებობა: **ტრენერი.**

2014-2017 შპს „პროგრესი” (საპროექტო კომპანია),

თანამდებობა: **არქიტექტორი.**

2011-2012 შპს ”მარჩენკო” (არქიტექტურა, ტოპოგრაფია, 3დ სკანირება)

თანამდებობა: **არქიტექტორი.**

2008-2011 შპს „ტოპ დიზაინი“(საპროექტო–არქიტექტურული ფირმა),

თანამდებობა: **მთავარი არქიტექტორი.**

1998–1999 მუნიციპალური განვითარების ფონდი (**MDF** – მსოფლიო ბანკის პროექტი). თანამდებობა: **კონსულტანტ–არქიტექტორი.**

1987–1996 ქ. თბილისის ისტორიული ნაწილის დაცვის სახელმწიფო სამმართველო (თბილისის მერიასთან არსებული). თანამდებობა: **უფროსი არქიტექტორი.**

1979–1981 „თბილზნიეპი“ (სამეცნიერო–კვლევითი და საექსპერიმენტო საპროექტო ზონალური ინსტიტუტი). თანამდებობა: **არქიტექტორი.**

1973-1974 საკავშირო მცირე სიმძლავრის ელ.მანქნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი „ВНИИТМЭ». თანამდებობა: **ლაბორანტი.**

1972-1973 კავშირგაბმულობის განყოფილებების საპროექტო ინსტიტუტი «Гипросвязь», თანამდებობა: **ტექნიკოს-არქიტექტორი.**

ბოლო დროის არქიტექტურული პროექტები:

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ობიექტები:

1. ქუთაისი, სამხედრო ნაწილის ყაზარმა - 2007 წ;
2. ქუთაისი, კოპიტნარი,საავიაციო ბაზა - 2007 წ;
3. ვაზიანი, სამხედრო ნაწილის ყაზარმა - 2008 წ;
4. გენერალური შტაბის შენობის რეკონსტრუქცია - 2008 წ.

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები:

1. დაბა თაბახმელა - 2008 წ;
2. თბილისი, შ. ცინცაძის ქ., #41 – 2009 წ.

მრავალფუნქციური სასაწყობე შენობა: თბილისი, გურამიშვილის გამზ., #39ა - 2016წ.

ავარიული სახლების გამაგრება-გაძლიერების არქიტექტურული პროექტები (თბილისი):

1. ჩეხოვის ქ., #37 – 2015წ;
2. ქიქოძის ქ., #12 – 2015წ;
3. გლდანის II მკრნ, კორპ. 25 – 2015წ;
4. გლდანის VI მკრნ, კორპ.2 – 2015წ.

საექსპერტო დასკვნები არქიტექტურულ პროექტებზე (2015წ):

1. საექსპერტო დასკვნა #70/1-1 ქ.თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე „ოლომპიური მძლეოსნობის კომპლექსის“ არქიტექტურულ პროექტზე;
2. საექსპერტო დასკვნა #151/3 ქ.თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე „ფრენბურთის ოლომპიური დარბაზების“ არქიტექტურულ პროექტზე.

საექსპერტო დასკვნები არქიტექტურულ პროექტებზე - შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების შესაბამისობაზე (2017 წლიდან):

მრავალბინიანი საცხვრებელი სახლები, ქ.ბათუმი
მრავალბინიანი საცხვრებელი სახლი, ქ.თბილისი, ხერგიანის ქ. # 8
ინდივიდულური საცხოვრებელი სახლები, ქ.თბილისი, ბაგები, იმედაძის ქ.,#1
ინდივიდულური საცხოვრებელი სახლები, წყნეთი გაზ- და ბენზინგასამართი
სადგურები, ქ.თბილისი, ვარკეთილი, შეშელიძიოს ქ.
საოფისე შენობის რეკონსტრუქცია, ქ.თბილისი, აღმაშენებლის გამზ.,
61 ლითონნაკეთობათა საწარმოოს შენობა, ქ.თბილისი, ბაღნარის ქ., 2ა
მრავალპროფილიანი კლინიკა, ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას ქ., 21
ღვინის ქარხნები, წინანდალი, ყვარელი ბაზრის შენობა, რუსთავი
სასაწყობო შენობა და სხვ.

უნარჩვევები:

საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობა–ნაგებობების დაპროექტება;

საექსპერტო დასკვნები არქიტექტურულ პროექტებზე (საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და საწარმოო შენობა-ნაგებობებზე);
საპროექტო–სამშენებლო დოკუმენტაციის მომზადება (ესკიზური და მუშა პროექტების სტადიები, მშენებლობის სანებართვო სტადია) საქართველოს საკანონმდებლო ბაზის შესაბამისად;

ვმუშაობ კომპიუტერულ პროგრამებში: **ArchiCAD, AutoCAD, AutoCAD Land, MS Office: Word, Excel, Power Point, Paint;**

ვაწარმოებ არქიტექტორულ–ტექნიკურ ზედამხედველობას; ვამოწმებ გრაფიკის მიხედვით შესრულებულ სამუშაოთა ანგარიშს;
ვთარგმნი ტექნიკურ დოკუმენტაციას რუსული და ინგლისური ენებიდან ქართულზე და ქართულიდან რუსულზე;

პიროვნული თვისებები

პუნქტუალობა
ორგანიზებულობა
ანალიტიკური აზროვნება
მაღალი პასუხისმგებლობა
ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის უნარი
კარგი კომუნიკაციის უნარი







დიპლომი

წარჩინებით

Ч № 754004

ეს დიპლომი მიეცა ნატალია ალბერტის ასულ ვასილიევას მასზე, რომ იგი 1974 წელს შევიდა საქართველოს ა.ა. ვოლკონსკის სახელობის მოლაქობრივ ინსტიტუტში და 1980 წელს დაამთავრა ალბერტ ალბერტის ძის სრული კურსი სპეციალობით არქიტექტურა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1980 წ. „10" 07 გადწყვეტილებით არქიტექტურა კვალიფიკაცია.

რექტორი

ქალაქი თბილისი 1980 წ. 30 • 09

სარეგისტრაციო № 11024

Грузинский ин.

ДИПЛОМ

С ОТЛИЧИЕМ

Ч № 754004

Настоящий диплом выдан Васильевой Наталье Азаревне

в том, что он а в 1974 году поступил а в Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина

и в 1980 году окончил а полный курс названного института

по специальности архитектуры

Решением Государственной экзаменационной комиссии от 10 07 1980 г. Васильевой Н.А.

присвоена квалификация архитектора

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

м. п. Город Тбилиси 30 09 1980 г.

Регистрационный № 11024

Московская типография Гознака. 1967.

შპს „არქ ექსპერტიზის ცენტრი“-ს

თანამშრომლის რუსუდან ბაჯელიძის

დეკლარაცია

ჩემს მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია პროფესიული საქმიანობის შესახებ არის სწორი, რასაც ვადასტურებ ხელის მოწერით.

რ. ბაჯელიძე

რუსუდან ბაჯელიძე



Curriculum Vitae

სახელი/გვარი: რუსუდან ბაჯელიძე

დაბადების თარიღი: 13.08.1996

ელ.ფოსტა: rusa.bajelidze@gmail.com

მობილური ნომერი: 557623167

განათლება: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის მეოთხე კურსის სტუდენტი

სამუშაო გამოცდილება:

2014 წ. სარეკლამო სააგენტო „მაქსიმუმი“, 6 თვე, თანამდებობა - პრომო აგენტი.

2015 წ. ესთეტიკური მედიცინის ცენტრი „ლაბელ მედიქალი“, 2 თვე, თანამდებობა - პრომო აგენტი.

2015 წ. „უნიქარდი“, 3 თვე, თანამდებობა - გაყიდვების ოპერატორი.

2016 წ. დამოუკიდებელ შემფასებელთა და აუდიტორთა კომპანია „თი აი ეი ჯი აუდიტესკორტი“, 8 თვე, თანამდებობა - ოფისის მენეჯერი.

2016-2017 წწ. შპს „არქ ექსპერტიზის ცენტრი“, 5 თვე, თანამდებობა - ხარისხის მენეჯერი.

2017-2018 წწ. შპს „ედე კომპანი“, 5 თვე, თანამდებობა - ხარისხის მენეჯერი.

პიროვნული თვისებები:

- შრომისმოყვარეობა;
- პასუხისმგებლობის გრძნობა;
- ორგანიზების უნარი;
- გუნდური მუშაობა;
- სტრესულ (ფორს-მაჟორულ) სიტუაციაში მუშაობის უნარი და გამოცდილება.
- კომუნიკაბელურობა;

ენები:

- ქართული - მშობლიური;
- ინგლისური - ძალიან კარგად; (მაქვს “Cambridge English”-ის მიერ გაცემული ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი)
- რუსული - საშუალოდ; (არასრულყოფილად, მაგრამ კომუნიკაციისთვის საკმარისად კარგად)
- ესპანური - სუსტად; (სოციალური კონტაქტის დამყარება შემიძლია)

შენიშვნები/REMARKS











საქართველო Georgia

პასპორტი PASSPORT

ტიპი TYPE	P	ქვეყნის კოდი CODE OF STATE	GEO
პასპორტი / PASSPORT		15BA81598	

გვარი / SURNAME
ბაჯელიძე / BAJELIDZE

სახელი / GIVEN NAME
რუსუდან / RUSUDAN



მოქალაქეობა / CITIZENSHIP	პირადი ნომერი / PERSONAL NUMBER
საქართველო / GEORGIA	61004068400
დაბადების თარიღი / DATE OF BIRTH	სქესი / SEX
13 აგვ / AUG 1996	მდ / F
დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH	მფლობელის ხელმოწერა / OWNER'S SIGNATURE
ქობულეთი / KOBULETI	რ. ბაჯელიძე
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE	მოქმედების ვადა / EXPIRY DATE
01 ივლ / JUL 2016	01 ივლ / JUL 2026

გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო / MINISTRY OF JUSTICE

P<GEOBAJELIDZE<<RUSUDAN<<<<<<<<<<<<<<<<<<<<
15BA815988GE09608133F2607012<<<<<<<<<<<<<<08